ლაშქრობა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 182 (11488) | პარასკევი, 7 აგვისტო, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, ღირსეულად შეხვდებიან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

საქართველოს კპ ც. კ-სა და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

5 აგვისტოს კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

პრეს-კონფერენციის გახსნისას ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამხანაგებო!

ბატონებო!

თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ჩემს შორის არის შეთანხმება ოფიციალური ვიზიტების ურთიერთ გაცვლის შესახებ. მე, ალბათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავალ შუა სექტემბერში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საბჭოთა კავშირს საპასუხო ვიზიტით ეწვევა უფრო გვიან, ამ წლის შემოდგომაზე.

ამ ვიზიტების დროს ჩვენს შორის გაიმართება არაოფიციალური საუბრები, სწორედ საუბრები, და არა მოლაპარაკება. მაგრამ მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას როდი ვანიჭებ ჩვენს შორის აზრთა გაზიარების ფორმას — მოლაპარაკება იქნება ეს თუ არაოფიციალური დისკუსია. მნიშვნელოვანი ის არის, რომ აზრთა გაზიარების შედეგად გამოვნახოთ საერთო ენა და იმ საკითხების საერთო გაგება, რომლებიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. მიღწეული შედეგების გაფორმების საკითხი პრობლემა არ არის, ამაზე ყოველთვის შეიძლება შევთანხმდეთ.

ჩვენი პოზიცია სხვადასხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრების შესახებ ცნობილია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მთავრობათა მეთაურები ან სახელმწიფოთა მეთაურები, ადამიანები, რომლებიც აღჭურვილი არიან მაღალი ნდობითა და რწმენებით, უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ ერთმანეთს აზრებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითეულმა შეხვედრამ უნდა უზრუნველყოს იმ საკითხების უკეთ გაგება, რომლებიც საჭიროა გადაიჭრას, და მოლაპარაკებაში პარტნიორის პოზიციის უკეთ გაგება. ეს კი ხელს შეუწყობს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღწევას, რომლებიც ურთიერთ ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის.

მაგრამ ასეთ მოლაპარაკებას კარგი შედეგები მოჰყვება მხოლოდ მაშინ, როცა თვითეული მხარის მთავარი, საწყისი პოზიცია იქნება მისწრაფება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისადმი, რომელიც სწყურია მსოფლიოს ყველა ხალხს. თუ ამ მთავარ მიზანს არ მივიღებთ მხედველობაში და დავიწყებთ რაღაც სხვა რამესთან შეგუებას, მაშინ შეიძლება წარმოიშვას საკითხი, რომ მოლაპარაკების შედეგად ერთი რაღაცას კარგავს, მეორე კი — იძენს. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ შეთანხმებათა მიღწევის დროს, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის უზრუნველყოფას, არავინ არაფერს არ კარგავს; პირიქით, ამით ყველა ხალხი მხოლოდ იძენს, რადგან მტკიცდება მშვიდობის საქმე. ასეთი პოზიცია, ჩვენი აზრით, პროგრესულია, და იგი საყოველთაო მხარდაჭერას პოულობს. სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც ნამდვილად ხელმძღვანელობენ ამ მთავარი მიზნით, თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის კეთილშობილურ საქმეში. იმას კი, ვინც თავს აარიდებს ამას, ვინც სერიოზულად არ მოეკიდება ამ ამოცანის გადაჭრას, ნამდვილად არ ექნება წარმატება თავის პოლიტიკაში. ასე განვიხილავთ ჩვენ ამოცანებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქონიონ სახელმწიფო მოღვაწეებმა ერთმანეთთან შეხვედრების დროს.

ამასთან დაკავშირებით მინდა დავიმოწმო ჩვენი შეხვედრები და საუბრები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ბ-ნ მაკმილანთან მისი ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში მიმდინარე წლის თებერვალში. ამ შეხვედრებმა, უდავოა, დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ამ შეხვედრების შედეგად, მაგალითად, დაიდო ახალი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ხელსაყრელია როგორც ინგლისისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. და თუ ჩვენს ქვეყნებს შორის ახლა არის სადავო, გადაუჭრელი საკითხები, ეს უკვე ჩვენი ქვეყნების — ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხები კი არ არის, არამედ, უმთავრესად, ეს არის, ერთი მხრივ, ნატოს ქვეყნების, მათ შორის ინგლისის, და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის საკითხები, ასე რომ ჩვენ სრული საფუძვლით ვამბობთ, რომ ჩვენი შეხვედრები და საუბრები ბატონ მაკმილანთან სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. შეიძლება დავასახელოთ ბევრი სხვა მაგალითი, როცა სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების კონტაქტების შედეგად გაუმჯობესდა ურთიერთობა ქვეყნებს შორის.

ყველაზე ესმის, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის იმას, თუ როგორია მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა. განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ თუ ჩვენს სახელმწიფოებს შორის კარგი მეგობრული ურთიერთობა დამყარდება, თუ ჩვენ შევძლებთ მოვაგვაროთ თანამშრომლობა მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, მშვიდობა დედამიწაზე უფრო მტკიცე იქნება.

არის თუ არა რეალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას საფუძვლად დაედოს მშვიდობა და მეგობრობა? მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შესაძლებლობანი არის. ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის რაიმე ტერიტორიული დავა. არ არის გადაუჭრელი წინააღმდეგობანი, არ არის საკითხები, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეუშალონ ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარების შექმნას.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ხალხი და ამერიკელი ხალხი ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავაკეთოთ ყოველივე შესაძლო იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის მტკიცე საფუძვლებს ემყარებოდეს. თუ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაუმჯობესდება, ეს უდავოდ გავლენას მოახდენს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეც, ხელს შეუწყობს საავდრო ღრუბლების გაფანტვას დედამიწის სხვა ადგილებშიც. რასაკვირველია, ჩვენ გვსურს მეგობრობა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრებთანაც. ამავე დროს ჩვენ გვსურს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ არა მარტო ჩვენთან, არამედ ჩვენს მეგობრებთანაც.

ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ჩემს შორის ვიზიტების გაცვლა საბჭოლობას მოიტანს. ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საუბრებმა და დისკუსიებმა, რომლებიც ჩვენს შორის გაიმართება, ხელი შეუწყოს უკეთესი ურთიერთგაგების დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს.

აი რა მინდოდა მეთქვა ჩემს შესავალ სიტყვაში ამ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია ბევრი უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტის თხოვნით. ჩვენთვის გასაგებია, რომ ეს საკითხი ძალიან აინტერესებს ყველა ქვეყნის ჟურნალისტებსა და საზოგადოებრიობას. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე შეგხვედროდით თქვენ, მოვისმინო თქვენი შეკითხვები და, რამდენადაც შევძლებ გიპასუხოთ მათზე.

* * *

შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა მიცემულ შეკითხვებზე. (საკდესი).

კომუნისტური შრომის ბრიგადაში

ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა (ხელმძღვანელი კომუნისტი ა. მალანია), რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდებას ატარებს, წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ბრიგადამ შვიდწლედის პირველი წლის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მოკრიფა 58.700 კილოგრამზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 58 ათასი კილოგრამისა. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 22 ტონა ჩაის ფოთოლი.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა კომუნისტური შრომის ბრიგადის პირველმა რგოლმა (ხელმძღვანელი ც. შეროზია). ამ რგოლმა წლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა — მოკრიფა 34.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

წარმატებას მიაღწია მოწინავე მეჩაიემ თამარ გაბულიამ. მან უკვე მოკრიფა 4.000 კილოგრამზე მეტი ჩაი, ნაცვლად 1.800 კილოგრამისა. ასევე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა მ. შეროზიამ, ლუნა, შურა, ზინა გაბელიებმა.

ს. კუმაკა.

იბადებიან ახალი გმირები!

დები თოდუები

სახე უღიმით ამ გოგონებს! ეს ხომ სახელოვანი შრომის სიხარულია.

ესენი არიან ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ყვავილები, ჩვენი დროის — შვიდწლედის ახალი ადამიანები.

მომხიბვლელი და ლამაზია ჩაის პლანტაციები, ლამაზი და საამაყოა ამ გოგონების შრომითი საქმიანობა. ისინი დები არიან და კარგი დობაც ამასა ჰქვია: მათ ერთად ნახავთ შინ და გარეთ, ჩაის პლანტაციაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის.

ეს ხომ კეთილშობილური საქმეა. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, ამ შეჯიბრებაში რომელი რომელს სჯობნის. თვითეული მათგანი კი დღეში 60-70 კილოგრამ „მწვანე ოქროს“ კრეფს.

— ჩვენს შეჯიბრებას, — ხუმრობით ამბობენ დები თოდუები, — ახალი შინაარსი აქვს. აუცილებელი როდია ერთი ჩამორჩეს, მეორემ გაუსწროს. ჩვენი შეჯიბრება ითვალისწინებს: ვიაროთ წინ, მოკრიფოთ მეტი ჩაის ფოთოლი თუნდაც ერთნაირი რაოდენობით.

ბევრი დახედავს ამ სურათს და ბევრიც მიბაძავს მათ მაგალითს.

აი, რა არის ახალი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ამ ახალი ადამიანების სასახელო შრომასა და ცხოვრებაში.

სურათზე: დები ნ. და ლ. თოდუები.

იცნოგდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

5 აგვისტო

მახარაძე. ნორა კიღურაძე მეტი ჩაისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეა სოფელ მზიანის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაი, სულ მოკრეფილი აქვს 2.000 კილოგრამზე მეტი და იბრძვის 3.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის. **ლუბა თარხნიშვილი** სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაი, სულ მოკრეფილი აქვს 3.600 კილოგრამზე მეტი. მისი პირობაა კიდევ მოკრიფოს 900 კილოგრამი.

ქობულეთი. გული ხაბაზი კომკავშირელი გრგონაა და ბეჯითი შრომით ასრულებს დავალებას. სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ახლა გული ხაბაზი წარჩინებულ მეჩაიედ ითვლება. მან მოკრიფა 50 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და იბრძვის იმისათვის, რომ 0,3 ჰექტარზე წელს 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

უფროსების მხარდამხარ

გვიან საღამომდე არ წყდება მოსწავლეთა ხალისიანი ერიამული წყალტუბოს რაიონის სოფელ გგეშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში.

სახელი გითქვამთ მეათეკლასელმა დალი ლექთაძემ, რომელსაც დღემდე ერთნაბეგარ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი. მეცხრეკლასელმა ლამარა გელენიძემ 1,2 ტონა ფოთოლი მოკრიფა, მერვეკლასელმა ნინო ლექთაძემ — ერთი ტონა. თინა შეთაგირაძე, მერი ლექთაძე, ლიანა ჯანგვაძე, ნანი ჯიქია, თინა ალფაიძე თუმცა უმცროსკლასელები არიან, მაგრამ თვითეულის ანგარიშზე დღემდე მოკრეფილი 700-800 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოდის.

(ხაკ. კორ.).

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმის შესრულება

1959 წლის 1 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით

ხორცის დამზადების წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 41,6 პროცენტით, რძისა — 70,8 პროცენტით, კვერცხისა — 76,9 პროცენტით და მატყლისა — 52,0 პროცენტით.

1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქტების დამზადება შეადგენს: ხორცისა — 115,2 პროცენტს, რძისა — 114,9 პროცენტს, კვერცხისა — 116,9 პროცენტს და მატყლისა — 114,3 პროცენტს.

ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების 1959 წლის წლიური გეგმის შესრულება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქსა და რაიონებში 1 აგვისტოსათვის პროცენტობით:

	ხორცი	რძე	კვერცხი	მატყლი
ახალქალაქის	28	78	107	37
ბოგდანოვკის	29	85	118	40
ახალციხის	51	89	105	47
ადიგენის	46	80	86	45
ასპინძის	45	81	94	44
ხაშურის	38	66	77	46
ქარელის	52	67	80	61
გორის	43	72	81	48
კასპის	44	66	72	51
ბორჯომის	43	79	92	31
საგარეჯოს	21	65	73	48
გურჯაანის	39	84	84	51
სიღნაღის	34	65	71	56
წითელწყაროს	35	68	84	47
თელავის	38	63	79	46
ახმეტის	41	63	71	60
ყვარლის	36	58	57	57
ლაგოდეხის	52	94	81	45
ქ. თბილისი-სამგორის	41	69	68	71
მცხეთის	35	83	77	48
მარნეულის	39	69	72	42
ბოლნისის	36	78	68	42
წალკის	25	74	66	36
დუშეთის	39	65	74	57
თეთრი წყაროს	40	80	79	48
დმანისის*	35	67	75	44
თიანეთის	46	70	75	99
ყაზბეგის	36	66	—	55
წყალტუბოს	52	68	67	—
სამტრედიის	73	86	84	—
წულუკიძის	56	72	81	—
ვანის	42	55	67	—
მაიაკოვსკის	43	68	70	—
ზესტაფონის	54	80	73	—
თერჯოლის	61	77	85	—
ქ. ჭიათურა	65	81	61	—
საჩხერის რაიონი	67	96	93	—
ორჯონიკიძის	44	75	91	—
ტყიბულის	75	92	80	—
ონის	38	79	70	—
ამბროლაურის	45	77	97	—
ცაგერის	38	54	70	—
ლენტეხის	44	64	—	—
აბაშის	47	70	68	—
ცხაკაიას	48	61	82	—
გეგეჭკორის	47	67	69	—
ზუგდიდის	49	66	67	—
ხობის	49	59	74	—
წალენჯიხის	51	67	75	63
ჩხოროწყუს	54	71	68	—
მახარაძის	75	95	94	—
ლანჩხუთის	64	72	78	—
ჩოხატაურის	70	96	103	—
მესტიის	99	80	—	—
ქ. ფოთი	47	61	—	—
აფხაზეთის ასსრ**	45	65	78	73
სოხუმის რაიონი	43	28	77	125
გალის	45	48	66	68
გაგრის	51	60	82	—
გუდაუთის	42	32	74	42
ოჩამჩირის	43	55	70	70
აჭარის ასსრ	55	70	80	—
ბათუმის რაიონი	66	75	97	—
ქობულეთის	71	81	74	—
ქედის	52	68	68	—
ხულოს	35	60	78	—
შუახევის	45	55	88	—
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	41	75	69	63
სტალინირის რაიონი	38	79	69	42
ჯავის	41	64	—	47
ლენინგორის	42	75	75	67
ზნაურის	44	78	66	—

*) მონაცემები 1959 წლის 20 ივლისისათვის.

**) მონაცემები რძის შესახებ 1959 წლის 20 ივლისისათვის.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით

შედეგი არის—მიდიან წინ

როცა ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ს. კუტუბიძე ვ. გაგანოვას შესანიშნავი თაოსნობის შესახებ საუბრობდა, ყველაზე მეტად აღელვება დაეტყო კომკავშირელ ბრიგადირს ალექსანდრა შალიმოვას. საქმის მცოდნე და ინიციატივიანი ახალგაზრდაა ალექსანდრა, მაგრამ ერთბაშად მაინც ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა ჩამორჩენილ კოლექტივში. ეს გადაწყვეტილება მან მეორე დღეს მიიღო. ა. შალიმოვამ ფაბრიკის ხელმძღვანელობას სთხოვა სამუშაოდ გადაეყვანათ ჩამორჩენილ ბრიგადაში. ახალგაზრდა ენთუზიასტი პირობას იძლეოდა, რომ მალე მოუღებდა ბოლოს გარღვევებს, დაწინაურებდა კოლექტივს. მას მკერავთა ოცდამერვე ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს. ეს ბრიგადა ყველაზე ჩამორჩენილი იყო ფაბრიკაში, გეგმებს მხოლოდ 70-75 პროცენტით ასრულებდა.

ა. შალიმოვა დაწვრილებით გაეცნო საქმეს, ესაუბრა ბრიგადის წევრებს, მიუთითა შემჩნეულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების გზებზე. ეს იყო ივლისის შუა რიცხვებში.

მას შემდეგ მცირე დრო გავიდა, მაგრამ შედეგები უკვე არის. ბრიგადა ცვლის გეგმებს 104-105 პროცენტით ასრულებს, ამასთან 11,2 პროცენტით გაიზარდა პირველი ხარისხის ტანსაცმლის გამოშვება.

დ. პაიჭაძე.

ალექსანდრა შალიმოვა.

კარგია, სასიხარულოა

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ სტალინის სახელობის შახტში ვმუშაობდი, ვხელმძღვანელობდი კომუნისტური შრომის ბრიგადას. ჩვენს კოლექტივს არასოდეს არ შეურცხვენია თავი. ბრიგადა ყოველთვის შრომის მაღალ მაჩვენებლებს აღწევდა, მისი თვითეული წევრი ცვლაში საშუალოდ ნორმის ზევით 4-4,5 ტონა ქვანახშირს იღებდა. ბრიგადამ შვიდ თვეში მოიპოვა 6.000 ტონაზე მეტი ქვანახშირი. მე და ჩემი ამხანაგები მაღალ ხელფასს ვიღებდით. შახტის მოლარე ყოველი თვის ბოლოს 3.500-4.000 მანეთს მომითვლიდა ხელმე. ჩემი შრომის შედეგებით კმაყოფილი ვიყავი.

მაგრამ აი ეს ერთი წელია სერიოზულად ჩამორჩა ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. ამ შახტმა მარტო წელს ქვეყანას რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო, ძირს დასწია ტყიბულელ მეშახტეთა საერთო მაჩვენებლები. ეს ჩვენ გვაფიქრებს. გადავწყვიტე სამუშაოდ გადავსულიყავი ჩამორჩენილ შახტში. ეს ჯერ არავისთვის მეთქვა, რომ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა დონბასელი გმირის, ტყიბულელი მეშახტიების მეგობრის ნიკოლოზ მამაის წერილი შ. კუბლაშვილისადმი.

მამაიმ მოგვიწოდა მიგვეგებაძა ვალენტინა გაგანოვას მაგალითისათვის, სამუშაოდ წავსულიყავით ჩამორჩენილ ბრიგადებში.

ჩემ და ბევრი ჩემი მეგობრის ცხოვრებაში მამაის წერილმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. გაქრა მერყეობა. მტკიცედ გადავწყვიტე წავსულიყავი ჩამორჩენილ შახტში სამუშაოდ. ჩემი თხოვნა დააკმაყოფილეს.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში გულთბილად მიმიღეს. მესამე უბნის უფროსმა ჩამაბარა მეშახტეთა კომპლექსური ბრიგადა.

ერთი დღე ბრიგადის წევრების გაცნობასა და სამუშაო ადგილის დათვალიერებას მოვანდომე. ბევრი მოთხოვნა წავუყენე შახტისა და უბნის ხელმძღვანელობას.

ბრიგადას არ გააჩნია სათადარიგო იარაღები. წინათ მნგრეველები სანგრევში რატომღაც მოკლე, 110 სანტიმეტრი სიგრძის შპურებს სჭრიდნენ. გადავედით გრძელი შპურების ბურღვაზე. ამან სულ მცირე 15 პროცენტით მაინც გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

4 აგვისტოს ახალ ბრიგადასთან ერთად მეოთხედ ჩავეშვი შახტში სამუშაოდ. პირველი დღეების შედეგები კარგია, სასიხარულოა, ახლა შახტში „ბარომეტრი უჩვენებს ამინდს“.

1 აგვისტოს იმ ცვლამ, რომელშიც ჩემი ბრიგადა მუშაობს, ქვანახშირის სადღეღამისო ამოღების დავალება 140 პროცენტით გაანაღდა, 2 აგვისტოს — 130 პროცენტით, ასევე დიდი წარმატებები მოვიპოვეთ 3 და 4 აგვისტოს.

მალე ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპს, თავს დავალწევთ სიძნელეებს და მოწინავეთა რიგებში ჩავდგებით.

ა. ბაკურაძე,

ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ — ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲒᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲣᲐᲛᲘᲠ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲪᲔᲛᲖᲐᲕᲠᲜᲔᲑ

ᲡᲐᲛᲠᲔᲠᲝᲐ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲣᲛᲬᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲜᲒᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲘᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲐ ᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲣᲬᲓᲐ ᲘᲣᲚᲘ.

ᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

საპროექტო ბიურომ ახალი ელმავლის დეტალების ნახაზები გაამზადა და წარმოებას გადასცა. გავიდა ხანი, მაგრამ სამუშაო ნული ტემპით მიმდინარეობდა, ეს არ გამოეპარა ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის კონტროლის კომისიას. დატრიალდნენ კომისიის წევრები: საკონსტრუქტორო გაყოფილების ინჟინერი პ. ლუკიანენკო, განყოფილების უფროსი ა. ლეჟავა, მთავარი კონსტრუქტორის ინჟინერი გ. გვანცელაძე, ინჟინერი ვ. ღვალაძე და სხვები. კომისიამ საკითხი ადგილზე შეისწავლა. მთელ რიგ ხელშემშლელ მიზეზებს შორის (ნახაზების მომდინარეობას, ნახაზების ნაკლებობა, დეტალების უქონლობა და სხვ.) ზოგიერთი ამხანაგი საქმისადმი უყურადღებობას იჩენდა. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. სარიშვილმა სასწრაფოდ შეკრიბა ამხანაგები, რომელთა შორის საამქროს უფროსებს გარდა იყვნენ წარმოების ხელმძღვანელი და კომერციული დირექტორი. თათბირზე დეტალურად განიხილეს საქმის მდგომარეობა და მიიღეს გადაწყვეტილება ახალი ორთქლმავლის ნახაზების სასწრაფოდ დამუშავების შესახებ.

ᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ დადგენილებას პარტიული კონტროლის ახალი ფორმების შემოღების შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებელო ქარხნის კომუნისტები. ივლისის შუა რიცხვებში გაიმართა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც განსახილველად საწარმოს კოლექტივის ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულება მიმდინარე შვიდწლედში. **ᲙᲙᲯ** ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილების საფუძველზე პარტიულმა კრებამ შექმნა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების ექვსი კომისია. ეს არის კოოპერირების გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის და მოწყობილობის შეკეთების ხარისხის, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის, წარმოების ნარჩენების შემცირების და გამოყენებისა და წარმოების კულტურის ამაღლების კონტროლის კომისიები. კომისიების შემადგენლობაში არჩეულ არიან გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანები, აქტიური და პრინციპული კომუნისტები, მათ შორის საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების უფროსი ლ. ხრენოვი, ინჟინერები დ. პაპუაშვილი, ლ. ორმოცაძე, ზეინკლები ვ. პაპანაშვილი, გ. ჭანტურია და სხვ.

ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა კოოპერირების გეგმის შესრულების კონტროლის კომისიამ. კომისიამ შეადგინა იმ დავალებებისა და შეკვეთების გრაფიკი, რომელიც ქარხანას მიღებული აქვს სხვადასხვა საწარმოებიდან. კომისიის წევრები თვალყურს ადევნებენ ამ დავალებათა შესრულების მიმდინარეობას, იბრძვიან კუთხურობის ოდნავი გამოვლინების წინააღმდეგ. კომისიის კარგი მუშაობითაც აიხსნება ის, რომ ქარხანამ კოოპერირების ივლისის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მოთხოვნილებისამებრ ქალაქ ნოვოჩერკასის ელმავალსამშენებლო ქარხანას გაეგზავნა მთელი რიგი აპარატები, მოტოკომპრესორები.

პირველი ნაბიჯები გადადგა წარმოების კულტურის ამაღლების კონტროლის კომისიამ. ამ კომისიის ხელმძღვანელმა, ინჟინერმა დ. პაპუაშვილმა ამას წინათ შეისწავლა ამწყობ და სამანქანო საამქროებში წარმოების კულტურის მდგომარეობის საკითხი. გამორიკვა, რომ ზოგიერთი მუშა არ იცავს სამუშაო ადგილის სისუფთავეს, იქ მიტანილი აქვს ისეთი ნარჩენები, რომლებიც იმ შემთხვევაში არა სჭირდება, უწესივრო მდგომარეობაშია ზოგიერთი კარადა, კომისიის ხელმძღვანელმა საამქროების ხელმძღვანელების წინაშე დააყენა საკითხი აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების შესახებ და თან იქვე ამხანაგებს ესაუბრა სამუშაო ადგილის კეთილმოწყობის მნიშვნელობაზე.

ᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲗᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲒᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚ

ვიხსნათ კაცობრიობა ატომური ომის საფრთხისაგან

ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციას

ძ. ხიროსიმა, იაპონია.

საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობის, და პირადად ჩემი სახელით მივესალმები ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთ.

„კონფერენციის დიადი და კეთილშობილური მიზანი — მიღწეულ იქნას ატომური იარაღის აკრძალვა — მახლობელი და გასაგებია საბჭოთა ხალხისათვის. სსრ კავშირის მთავრობა თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ყველაფერზე მაღლა აყენებს ზრუნვას ადამიანის კეთილდღეობისა და მისი მომავლისათვის. სსრ კავშირის მთავრობა თანამიმდევრულად და დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ „ცივი ომის“ მდგომარეობა აღმოიფხვრას, რომ მშვიდობა და საერთაშორისო თანამშრომლობა საიმედოდ იყოს უზრუნველყოფილი. სსრ კავშირის მთავრობა იმახ ითვალისწინებს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა უზრუნველყონ მშვიდობიანი თანაარსებობა, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს არა გამალებულ შეიარაღებაში, არამედ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა კაცობრიობის ხსნა ატომური ომის საფრთხისაგან. და ამჟამად ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა, რაც უნდა იყოს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ატომური იარაღის ხრული აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების გზაზე.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სჯერათ, რომ იაპონელი ხალხი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის განმტკიცების, სახელმწიფოთა შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარების საქმეში. საბჭოთა ხალხი იმედს გამოთქვამს, რომ იაპონელი ხალხი, რომელმაც განიცადა ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა, ნებას არავის მისცემს, რომ მისი ქვეყანა შეიარაღონ ატომური იარაღით, რასაც ცდილობენ იაპონიის გარკვეული წრეები. შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და თვით იაპონიის უშიშროების განმტკიცების ინტერესები საუკეთესოდ იქნება უზრუნველყოფილი, თუ იაპონია უარს იტყვის გარედან მისთვის თავსმოხვეულ აგრესიულ პაქტზე, მოსპობს უცხოეთის ბაზებს თავის ტერიტორიაზე და დაადგება დამოუკიდებელი პოლიტიკის, ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გზას.

შორეულ აღმოსავლეთში ვითარების ხერხოზულ გაჯანსაღებას ხელს შეუწყობდა შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ წუნარი ოკეანის აუზში მშვიდობის ზონის შექმნა, და პირველ რიგში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა. საბჭოთა ხალხს იმედი აქვს, რომ ასეთი ზონის შექმნის საკითხს მხარს დაუჭერს კონფერენცია.

სულითა და გულით ვუსურვებ წარმატებას კონფერენციის მონაწილეთ.

ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

* * *

ხიროსიმის საერთაშორისო კონფერენციაზე

ხიროსიმა, 5 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს საღამოს ხიროსიმის მშვიდობის პარკში ოფიციალურად გაიხსნა V საერთაშორისო კონფერენცია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის. პარკის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბა ათასობით იაპონელი, აგრეთვე კონფერენციის უცხოელი დელეგატები ინგლისიდან, ავსტრალიიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, საბჭოთა კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან, ხიროსიმის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი და „მშვიდობის ლაშქრობათა“ მონაწილენი, რომელიც ჩამოვიდნენ იაპონიის სხვადასხვა რაიონიდან.

კონფერენციაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა სრულიად იაპონიის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საბჭოს თავმჯდომარემ, მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატმა კაორუ იასუოკამ. მომხსენებელმა დახატა ვითარება, რომელშიც მიმდინარეობს ახლანდელი კონფერენცია, და დელეგატების ყურადღება მიაპყრო ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დასახულია მშვიდობის მომხრეთა წინაშე, ატომური იარაღის აკრძალვისათვის მებრძოლთა წინაშე. იასუომ ხაზი გაუსვა, რომ რეაქციული ძალების ხრიკების მიუხედავად, მსოფლიოს ხალხები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან ატომური ომის წარმოშობის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციისათვის.

თანამედროვე ვითარებაში, აღნიშნა მან, ზოგიერთი წრეები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ატომური იარაღის აკრძალვას, განაგრძობენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას, ავიწყდებათ ის, რომ თანამედროვე პირობებში ომის ხასიათი სულ შთად შეიცვალა და რომ ვერავითარი სამხედრო ბლოკი, ვერავითარი ატომური იარაღი ვერ უზრუნველყოფს ნამდვილ უშიშროებას.

მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობისა და მოლაპარაკების პოლიტიკას, ხაზი გაუსვა იასუომ, შეიძლება ახლა მოჰყვეს მტკიცე მშვიდობის დამყარება დედამიწაზე. ამის მიხედვით, განაცხადა იასუომ, ჩვენ ომის მომხრენი ვართ, რომ ომოიფხვრას სამხედრო ბლოკები და მოეწყოს შეხვედრები დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის.

ამის შესაბამისად ჩვენთვის, თქვა მან, სასიხარულო ამბავია ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი უახლოეს ხანში აპირებენ გაცვალონ ვიზიტები, რასაც, უეჭველია, უნდა მოჰყვეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის შენარჩუნების პირობების შექმნა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელ წერილს, რომელიც კონფერენციაზე წაიკითხეს.

შემდეგ წაიკითხეს წერილები და დეპეშები, რომლებიც მიღებულია ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსაგან, ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის ქერივის ელეონორა რუზველტისაგან, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციისა და სხვა ქვეყნების ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწისაგან.

დღევანდელ სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, განის, ინდოეთის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და ზოგიერთი სხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ნ. კოვალიოვმა მოუწოდა კონფერენციის მონაწილეთ, მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა იაპონელს იბრძოლონ იმისათვის, რომ აუცილებლად და მთლიანად აიკრძალოს ატომური იარაღი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მხოლოდ ყველა ქვეყნის მრავალმილიონიანი მასების აქტიური ღონისძიებებს შეუძლიათ უზრუნველყონ ამ მიზნის მიღწევა.

კოვალიოვმა პირობა მისცა დელეგატებს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად აქტიურად იბრძოლებენ ამ მიზნის მიღწევისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ატომური ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის.

გ. სკობელევი.

ახალი მსხვერპლი

ტოკიო, 5 აგვისტო. (საკდესი). ტოკიოს უნივერსიტეტის ჰოსპიტალში სხივური ნაგადებით გარდაიცვალა სამეცნიერო-საკვლევი გემის „ტაკეიოს“ ეკიპაჟის წევრი 34 წლის მემანქანე ხიროკიტი ნაგანო.

როგორც ცნობილია, იაპონიის გემები „ტაკეიოს“ და „საკეშმა“ შარშან ზაფხლეში მეკიბეულ-კალეგეთის მუშაობას ეწეოდნენ წყნარი ოკეანის ბიკინის ატოლის რაიონში, სადაც მოხვდნენ ინტენსიური რადიოაქტივობის ზონაში, რაც წარმოშვა ამერიკის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდების სერიის შედეგად.

ნაგანოს სიკვდილის ცნობამ ფართო გამოხმაურება გამოიწვია იაპონიაში. ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელმა მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატმა იასუომ განაცხადა, რომ ნაგანოს სიკვდილი, რომელიც დაიღუპა ატომური ფეოფლისაგან მშვიდობიან დროს, პატიოსან ადამიანებს უნერგავს კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს ატომურ და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის.

ნათელი სხივი

ჩინეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ზე მეტი დიდი და საშუალო ახალი და რეკონსტრუირებული ელექტროსადგური. ამ სადგურებში დადგმული ახალი გენერატორული მოწყობილობის საერთო სიმძლავრე 1,8 მილიონ კილოვატს შეადგენს, რაც 2,4-ჯერ მეტია გენერატორული მოწყობილობის სიმძლავრის იმ საერთო მატებაზე, რომელიც მთელი 1957 წლის განმავლობაში იყო. თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა წერილ ელექტროსადგურს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ყოფილან შენდება, 1958 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემული გენერატორული მოწყობილობის საერთო სიმძლავრე ორ მილიონ კილოვატს გადააჭარბებს.

ახალი გენერატორული მოწყობილობის დიდი რაოდენობით საექსპლოატაციოდ გადაცემასთან ერთად ამჟამად ჩინეთში სწრაფი ტემპით შენდება 170-ზე მეტი დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგური და თბოსადგური, რომელთა საერთო საპროექტო სიმძლავრე აღემატება 26 მილიონ კილოვატს, რაც ოთხჯერ მეტია ჩინეთის ყველა არსებული ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეზე.

სურათზე: ჰიდროელექტროსადგურის „ანშანის“ მშენებლობა მდინარე სინიანჭიანზე.

ფოტო ჯან შენ-მინისა (სინხუას საგენტო).

„სირცხვილი იმ გუთნისდედას...“

შარშან ოქტომბერში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „ქვითა და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად“, რომელსაც ხელს აწერდნენ მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ბევრი საგულისხმო და მნიშვნელოვანი წერილი, კორესპონდენცია და კრიტიკული შენიშვნა დაიბეჭდა. დღესაც მრავალი წერილი მოდის რედაქციას. ავტორები გვატყობინებენ ზოგიერთ რაიონში ისტორიული ძეგლების მიმართ ველად უსულგულო დამოკიდებულების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია მესხეთ-ჯავახეთი კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლით. ციხეები, ხერთვისის, თმოგვის, ზარზმის, აწყურის, კუმურდოს, ანის, თისელს ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, კლდეებში გამოკვეთილი გამოქვაბულები ჩვენი ეროვნული სიამაყეა. ახალციხის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი **დ. კოტორიძე** აი რას გვწერს:

„ახალციხეში აღწერილი 36 ისტორიული ძეგლიდან ნახევარზე მეტი განადგურებულია ისე, რომ მათ კიალაც ვეღარ ნახავთ, ალარ არსებობს თიხის მილებით 12 კილომეტრზე გამოყვანილი ძველი წყალსადენი, ოიახე ნათლისმცემლისა და იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიები, ამაღლების ტაძარი, ციხე-სიმაგრეებს შორის არსებული კარის ტაძარი, რაბათის ძველი ხიდი, ყუღლების ციხე-კოშკი, მესხეთისათვის დამახასიათებელი მერცხლისბუდური ანუ გვირგვინიანი დარბაზების უმრავლესობა. ასეთივე დაუდგენრობით დაინგრა ახალქალაქის ციხე და სოფლების ორჯის, ურავლის, აწყურის, გიორგიწმინდის და სხვა ტერიტორიაზე არსებული უძველესი ეკლესია-მონასტრები. აქაურ ბევრ სოფელში სახლების უმრავლესობის კედლებში გამოყენებულია ფუძელესი ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვები“.

წერილის ავტორი გულისწყრომით აღნიშნავს, რომ ახალქალაქის რაიონში ისტორიული ძეგლი კუმურდო, ახალციხის რაიონში ვალე, საყუნეთი გამოყენებულია საწყობებად. არც ერთ ისტორიულ ძეგლს არა აქვს გაკეთებული მიმორიალური დაფები.

საგულისხმოა, რომ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებს მეთვალყურეობს 30-მდე შტატიანი მცველი, მაგრამ ისინი არაფერს არ აკეთებენ ამ დიდი ეროვნული საქმისათვის.

ვახეთის მადლიან მიწაზე მეზავრმა სათიცა არ უნდა გაიხედოს, მისი თვალი ვერ ასცდება უძველესი ხუროთმოძღვრების, ციხე-კოშკებისა და ლეკური ცის თაღამდე აწვდილი ტაძრების მონუმენტურ შენობებს. თელავის რაიონს იყალთოს შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს **ა. შიმშანაშვილს** აღელვებს ამ ისტორიული ძეგლებისადმი უყურადღებობა, მათი მოუვლელობა.

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში იგი წერს:

„თელავიდან თორმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, თურდოს ხეობაში მთის წვერზე ყელყელაობს ძველი სიმაგრე. მის შემოგარენში, ტყეში გაფანტულია საყდრები, ნასახლარები, მათი აღდგენა და დაცვა თუ ვერ მოვახერხეთ, კინოფირზე აღვაჩვდეთ, ფოტოგრაფირება მაინც საჭიროა. ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი საამაყო ძეგლია ბოჭორმის ტაძარი და ციხე-გალავანი, მაგრამ იგი მოუვლელია, ტაძრის გუმბათი ვიღაცას ჩაუღიჩია გალავანი, რომელაც შერჩენილი აქვს ძველი გოდოლები, სამზერები, სავალი ბილიკები, სათოფურები, იშლება“.

დღე ულამბიათ და ღამე უთენებიათ, მზის სინათლეზე თუ მთვარის შუქზე ენერგია არ დაუზოგავთ ჩვენს წინაპრებს, თავიანთი მადლიანი საჭრელითა და ფუნჯით დაუხატავთ ფრესკები და ხატები. განა ეძველესი ხატი მარტო საეკლესიო ნივთს წარმოადგენს და სხვას არაფერს? შეიძლება ასე ფიქრობენ სარჩერის რაიონში. გვაგონდება ერთ-ერთი ქართული ლექსის ადგილი: „სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდესო“, ვკითხულობთ თბილისელი ბიოლოგების **გ. ქავთარაძისა** და **გ. ნიკურაძის** მიერ რედაქციაში საჩხერიდან გამოგზავნილ წერილს:

„ჩვენ გაკვირვებული დავრჩით, როდესაც კარლია და ნახევრადდანგრეულ სპეთის ეკლესიაში ვიხილეთ კარედი ხატების უნიკალური მხატვრობის ნიმუშები. მათ შორის გამოირჩევა „ჯვარცმა“, „სერობა“, „ამაღლება“ და სხვ. აქვე, ეკლესიის ტრაპეზში უწესრიგოდ ყრია მრავალი სქელტანიანი წიგნი. ყოველივე ეს ნადგურდება. აქაურობას უყურადღებობის დაღი აზის“.

„მდიდარია თიანეთის რაიონი ისტორიული წარსულით. საუკუნეების ქარტეხილს გაუძლო ბოჭორმის ციხე-სიმაგრემ, არჩილის მონასტერმა; რთულ ნაგებობათა კომპლექსით გვაცვიფრებს ჯიქეთის ეკლესიის ნანგრევები — ხალხი სვეტიცხოველს რომ უწოდებს. მნიშვნელოვანი ძეგლია სოფელ დოლუხაურების მახლობლად მდებარე ეკლესია თავისი მაღალი გალავნით, ცხრაკარა თიანეთში და სხვ. მაგრამ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში მრავალი ძეგლი ჯერ კიდევ გამოუვლენელი და შეუსწავლელია. რაიონის ზოგიერთი მუშაკის დაუდევრობითა და დანაშაულებრივი მოქმედებით განადგურდა წაწოლა ციხე თიანეთის ახლოს, ფაშაურთ გორაზე, რომელიც XI საუკუნის ძეგლს წარმოადგენდა“.

ამ კრიტიკული წერილის ავტორია თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ი. ბეჟანიშვილი.** ავტორი დასასრულ აღნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას რაიონის შესწავლას, ჯერ არავის არ უწარმოებია არქეოლოგიური ძიება, ან დაზვერვითი სამუშაოები მთიელთა წარსულისა და კულტურის ნიმუშების გამოსავლინებლად.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი **ა. კაირიშვილი** რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ ძეგლების შეკეთებისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე. იგი აღნიშნავს:

„ზოგიერთი ისტორიული ძეგლი ავარიულ მდგომარეობაშია და გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს. თბილისში ლურჯი მონასტრის კედლებთან ქაღალდის დიდი პარკებით უხვად მიუზიდავთ ცემენტი ეს სამშენებლო მასალა წვიმის წყალმოთ ეკარგა ისევეა შესაძლო, როგორც შარშანდელი თოვლისა“.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების უფროსი ინსპექტორი **ი. ნუცუბიძე** წერილში „ყურადღება მივაქციოთ ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეს“ აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესდა კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა. მაგრამ, როგორც შემოწმებით გამოირკვა, „საველო მდგომარეობაა ხაშურის, ქარელის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის და სხვა რაიონებში, სადაც კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონულმა საბჭოებმა ამ დიდი ეროვნული საქმისადმი ისევ ფეხებზე ბოლოდ ეკიდნენ და არ გადაუდგამთ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები.“

რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში ძეგლების მოვლა-პატრონობის შესახებ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ ამბროლაურის რაიონის სოფელ წესიდან **ა. კერესელიძე,** სურამიდან **ვ. გოგიბერიძე,** ბორჯომიდან **დ. გორთამაშვილი,** ქუთაისიდან **ლ. ადეიშვილი,** თბილისიდან **ე. გიორგაძე, ნ. ყანჩაველი, ე. ლუკაშვილი** და მრავალი სხვა.

როგორც წერილებიდან ჩანს, სათანადო მოვლა-პატრონობა ესაჭიროება მთელ რიგ ისტორიულ ძეგლებს. ხომ ამბობენ, რომ საქართველო ხელოვნების ძეგლთა მნიშვნელობისა და სიმრავლის მიხედვით ბუნებრივ მუზეუმს წარმოადგენსო. მაშ ყოველმხრივ ვეცადოთ, რომ ეს საპატიო სახელი შეეფერებოდეს ამ ხალხის, ეროვნ ბარბაროსულად ეპყრობა ხალხის, ერის ისტორიულ განძს, არამარტო საზოგადოებრივი განკიცხვის, არამედ მკაცრი სასჯელის ღირსია.

ბარომეტრი უჩვენებს მშვიდობას

ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალი ვიზიტების გამო

ცივი ომის მეაღადაგებლებს ღახვარი ჩასცეს

ლონდონი, 4 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობას ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერისა სსრ კავშირში მიიჩნია არაჩვეულებრივად დიდი მნიშვნელობის მოვლენად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის მეგზისათვის.

სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ინგლისის გაზეთები დღეს მიესალმებიან ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის ვიზიტების გაცვლის შესახებ, წერს გაზეთი, — „შესანშნავი ახალი ამბავია „რომელმაც უნდა“ გააჩაროს ყველა გონიერი ადამიანი ყოველ ქვეყანაში“. გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდება ბევრი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემა ორი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შეხვედრების შედეგად.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პროვინციული კონსერვატიული გაზეთი „იორკშირ პოსტი“ აცხადებს, რომ ცნობა ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერის საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ —კარგი ახალი ამბავია მთელი კაცობრიობისათვის“.

ინგლისელ მშრომელთა გაზეთი „დეილი უორკერი“ წერს, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შორის ვიზიტების გაცვლა ლახვარს ჩასცემს „ცივი ომის ყველაზე ბოროტ მქადაგებლებს“. მაგრამ, წერს გაზეთი, ის, რაც ვიზიტების გაცვლის შედეგად მოხდება, ხალხებზეა დამოკიდებული. გაზეთი მოიწოდებს საზოგადოებრიობას, გაშალოს კამპანია განიარაღების შესახებ და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმებათა მისაღწევად.

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). მომავალი გამგზავრება ნ. ს. ხრუშჩოვისა შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერისა სსრ კავშირში არის „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ცივი ომის შესანელებლად, ეს არის იმის აღიარება, რომ ხალხები ალარ მიიღებენ უნაყოფო უარყოფით პასუხს ყოველ სამშვიდობო ნაბიჯზე, ეს არის სტიმული ყველა ჩვენთვის არ შეეხუსტოთ მტკიცე შეთანხმების მოთხოვნა“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა. მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე გორდონ შაფერი აღნიშნავს, რომ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრების ფენეკის თათბირმა ცხადყო, „თუ დასავლეთის მხარემ მოისურვა, არ არის არავითარი რეალური დაბრკოლება შეთანხმების გზაზე“. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, განაგრძობს შაფერი, აღშფოთებულია და აწუხებს ის რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ, რათა ხელი შეუშალონ შეთანხმების მიღწევას, და ადამიანებს იმედი ეკნებათ, რომ საუბრები ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერს შორის გაწმენდნენ უმაღლეს დონეზე თათბირის გზას.

ცნობას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრის შესახებ მიესალმება ინგლისის ბევრი თვალსაჩინო პროფკავშირული, საზოგადო და რელიგიური მოღვაწე. „ეს ნაბიჯი მოწმობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების დიდ შესაძლებლობას, — აღნიშნავს მბეჭედავთა ეროვნული პროფკავშირის გენერალური მდივანი ბრიგინშო. — ეს არის ომოსავლეთისა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელების ახალი ნიშანი“.

„ამ მოვლასმენი აზრთა ისეთ გაზიარებას, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობიანად გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები“, — აცხადებს ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე რობერტ ტილისი. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ვიზიტები გამოიწვევენ მოლაპარაკებას, ხოლო მოლაპარაკება — „მშვიდობიანი მომავლის საუკეთესო გეგმებს“.

მომავალი ვიზიტების შესახებ ცნობას ამაყოფიერებთ შეხვდნენ ლეიბორისტი პარლამენტარიები. „ამ ახალ ამბავს უნდა მივეესალმოთ, — აცხადებს ტილიამ ეორნი. — ის ფაქტი, რომ ვიზიტებს გააკეთებს ორივე მხარე, ცხადყოფს, რომ საქმე უბრალო ზრდილობას როდი ეხება“.

კონი ზილიაკუსი, აღნიშნავს რა, რომ „ეს ცნობა დიდ კმაყოფილებას იწვევს“, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისისა და ამერიკის მთავრობებმა დროა ეარი თქვან თავიანთ „ცივი ომის“ პოლიტიკაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმების იმედი დიდი არ იქნება. ისინი უნდა დათანხმდნენ ითანამშრომლონ საბჭოთა კავშირთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და ევროპასა და შუა აღმოსავლეთში სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საფუძველზე. მათ აგრეთვე უნდა მისცენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს არის ყველაზე მთავარი საკითხები, აცხადებს ზილიაკუსი, რომელთა გადაჭრა არ შეიძლება, თუ მნიშვნელოვნად არ შეიცვალა პოლიტიკური კურსი.

ინგლისის ყველა მომართულების გაზეთი დღეს განაგრძობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების მომავალი ვიზიტების სხვადასხვა მხარის გაცხოველებით განხილვას.

„მეტად საძეგი იდეა“

ოტავა, 4 აგვისტო. (საკდესი). ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის სსრ კავშირში მომავალი გამგზავრების შესახებ კანადაში დიდი ცმაყოფილებით შეხვდნენ.

ვიზიტების მომავალი გაცვლა პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვს შორის, — წერს სარედაქციო სტატიაში „გლობ ენდ მეილი“, — ლოგიკური კულმინაციური პუნქტია ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და კულტურული გაცვლის გაძლიერების მიმართულებით. ეს მეტად საკვები იდეაა და შეიცავს დიდი სიკეთის თესლს მთელი კაცობრიობისათვის“.

მონრეალის „გაზეტი“, იწონებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი შემქმნის შესაძლებლობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების განგრძობისათვის „ომნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე. „მოლაპარაკება გაგრძელდება, ხოლო მოლაპარაკება სჯობს ყოველგვარ გასროლას ომში“, — წერს გაზეთი.

კანადის პრესა, რადიო, ტელევიზია ცნობებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. დ. ეიზენჰაუერის ურთიერთ ვიზიტის შესახებ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

დაძაბულობა შეიელდა

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა რ. მენზისმა კომენტარი გაუკეთა ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის ოფიციალური ვიზიტების გაცვლის შესახებ და დღეს განაცხადა: „ეს ძალიან კარგი ახალი ამბავია. მსოფლიოს ორი ყველაზე ძლიერი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებს შორის ვიზიტების გაცვლას სხვა არა მოჰყვება რა, გარდა საუბრებისა, ვიზიტების გაცვლა,—დასძინა მან, — არა მარტო შეიძლებს ამჟამად არსებულ საერთაშორისო დაძაბულობას, არამედ გამოიწვევს უშუალო და, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, პირად მეგობრულ ურთიერთობას ნ. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის, რაც გააადვილებს უმაღლესი დონის თათბირის შემდგომ მოწვევას და უფრო დასაჯერებელს გახდის მის წარმატების შედეგს.“

გათბა პოლიტიკური ატმოსფერო ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. (საკდესის კორ.). ამერიკის დედაქალაქში დღეს ცენტრალური პოლიტიკური მოვლენაა გამოხმაურება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის „მომავალი ვიზიტის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვაშინგტონის ყველა გაზეთი ამის გამო ბეჭდავს ვრცელ სარედაქციო სტატიებსა და საკუთარ კორესპონდენტთა ცნობებს. ამ ცნობას გაცხოველებულ კომენტარს უკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებიც. ამ გამოხმაურების საერთო ტონი ცხადყოფს, რომ უკვე თვით ცნობამ ვიზიტების მომავალი გაცვლის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის გაათბო პოლიტიკური ატმოსფერო ვაშინგტონში.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრების უმრავლესობამ მოიწონა ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონგრესის ბევრ წევრს ვიზიტების გაცვლა მიაჩნია ისტორიულ ნაბიჯად, რომელიც გვპირდება ახალი ეტაპის დაწყებას საერთაშორისო ვითარებაში. სენატორი დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სენატორმა ჯონსონმა, რომელიც, „საერთო აღიარებით, ამერიკის კონგრესში სარგებლობს დიდი გავლენით, ვიზიტების გაცვლა დაახასიათა როგორც მოვლენა, რომელმაც შეიძლება „ბევრი რამ მოგვცეს მთელი მსოფლიოსათვის“.

ჯონსონის პოზიციას მხარს უჭერენ ისეთი გავლენიანი სენატორები, როგორიც არის მენსფილდი, სპარკმენი, კეფოვერი და სხვები. გამოვიდა რა სენატში ვიზიტების მომავალი გაცვლის გამო, სენატორმა ბაშმა იგი მიიჩნია როგორც მოვლენა, რომელსაც „ისტორიული მნიშვნელობა“ ექნება. იმედი მაქვს, თქვა მან, რომ ამ გაცვლას მოჰყვება დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში და ამით მოახლოვდება დღე, როცა მთელი მსოფლიო შეძლებს ისარგებლოს პატიოსანი, სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის სიკეთით.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალი ურთიერთ გამგზავრების დადებით მნიშვნელობას ხაზი გაუსვა თავის სიტყვაში სენატორმა იარბორომ. მან თქვა, რომ ეს მიაჩნია „დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად, რომელიც გადაიდგა სწორი მიმართულებით“.

საგულისხმოა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის ვიზიტების გაცვლას მხარი დაუჭერა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა სენატორმა უალმ, რომელიც ხშირად გამოდის საერ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 6/VIII. (ტელეფონით სპეც. კორ.) მომდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის უკანასკნელი მზადება. დედაქალაქის სასპორტო ბაზები ლამაზად არის მორთული ნაირფერი ალმებით. პლაკატები, აფიშები, სხვადასხვა დიაგრამები გვამცნობენ ასპარეზობის მალე დაწყებას. თვალს იტაცებს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მისასვლელები, მდამოება. ირგვლივ ახალგაზრდობის ერიამული გაისმის. სტადიონზე მომზე რესპუბლიკების კოლონები გადიან ერთობლივ წრთვნას, რათა 8 აგვისტოს მწყობრად, მხნედ და ლამაზად ჩაუარონ ტრიბუნებს, ცხადყონ თავიანთი მზადყოფნა შრომისა და ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისათვის, გამოხატონ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

სპარტაკიადის მონაწილე თითქმის ყველა დელეგაცია მოსკოვში იმყოფება. დღეს დილით თბილისიდან „ტუ-104“-ით დედაქალაქში ჩამოვიდნენ საქართველოს მოფარიკაკეები, ძალოსნები, ხუთჭიდელები, ქართველი მოჭიდაკეები. დღის მეორე ნახევარში მოსკოველ ეწვიენენ მძლეოსნები, მოკრივეები, ფრენბურთელები. სპორტსმენთა ეს ჯგუფი შეკრებას ლენინგორში გადიოდა და აღლეკდან ჩამოფრინდა.

მძლეოსნური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სანაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაში ჩვენი მძლეოსნების მაჩვენებლები ძალზე დაბალი იყო. ვფიქრობთ, რომ ამ სპარტაკიადაში საქართველოს მძლეოსნები გაცილებით უკეთესად გამოვლენ და რესპუბლიკის საერთო მაჩვენებლებში თავიანთ წვლილს შეიტანენ. ამაზე მეტყველებს უკანასკნელი დღეებში ლენინგრადში გამართულ შეხვედრათა შედეგები. ამ ასპარეზობაში ნაჩვენები იყო 40 პირველთანრიგოსან და 2 სპორტის ოსტატის ნორმა“.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ, რომელიც მწრთვნელებთან კაპიტანოვთან და ეორდანიშვილთან ერთად ხელმძღვანელობს უწევს მოჭიდაკეებს, აზრი გამოთქვა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა თავისუფალ ჭიდაობაში უნდა იბრძოლონ პირველი ადგილისათვის, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში სამეულს არ უნდა გასცდნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე საუბარი გვქონდა სსრ კავშირის დამსახურებულ მწრთვნელთან ფარიკაობაში ა. მეიფარიანთან. სოხუმში შეკრებამ და საგულდაგულო წრთვნამ სასურველი შედეგი მოგვცა. თუ ვივარაუდებთ ამას, რომ პირველ სპარტაკიადაში მეზუთე ადგილი დავიკავეთ, ხოლო გასულ წელს საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გამოვედით, დაგვრჩენია ვივარაუდოთ მხოლოდ ერთი — ხალხთა მეორე სპარტაკიადაში უკეთ უნდა გამოვიდეთ.

• • •

მართალია, დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჯერ კიდევ საზეიმოდ არ აღუმართავთ სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ალმი, მაგრამ სასპორტო მოედნებზე დაიწყო უძლიერესთა ასპარეზობები — სპორტული თამაშები.

6 აგვისტოს საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეხვდა თურქმენეთის კოლექტივს. მატჩის ბედი ბევრისათვის წინასწარ გარკვეული იყო. მაგრამ მათ აინტერესებდათ კალათბურთელთა მომზადების დონე, შესაძლებლობანი, სპორტული ფორმა. თურქმენეთის გუნდის წინააღმდეგ ჩვენი კალათბურთელები გამოვიდნენ კალაძის, მინაშვილის, ლექავას, მოსეშვილისა და აბაშიძის შემადგენლობით. შემდეგ კი თანდათანობით ბრძოლაში ჩაებნენ ხაზარაძე, ულგრეხელიძე, ინწკირველი და სხვები.

ანგარიში გახსნა მინაშვილმა. მალე მანვე მოწინააღმდეგის კალათში მეორე ბურთი ჩააგდო. პირველი ტაიმი დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდის გამარჯვებით 42:16. მათ ძლიერად ჩაატარეს აგრეთვე შეჯიბრების მეორე ნახევარი და პირველი გამარჯვება მოიპოვეს, ანგარიშით 112:42.

ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ხაზარაძე, რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა.

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი პირველ ჯგუფში შედის. ამ ჯგუფში გამოდიან აგრეთვე უზბეკეთის, ლატვიის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის გუნდები. ამავე დღეს რსფსრ გუნდმა დაამარცხა ბელორუსიის კალათბურთელები 93:51.

უზბეკეთის გუნდმა მოუგო ტაჯიკეთის კალათბურთელებს 61:52.

საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლექტივი 52:33.

ქალთა დანარჩენი გუნდების შეჯიბრების შედეგები ასეთია: ესტონეთ — უზბეკეთი 59:42; მოსკოვი — ტაჯიკეთი 97:32; ლატვია — ყირგიზეთი 64:31; უზბეკეთი — მოლდავეთი 35:59.

წყალბურთელთა დღევანდელ შეხვედრებში სომხეთის გუნდმა დაამარცხა ლიტველები 6:4. აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გუნდების მატჩის შედეგია 8:3 აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ.

მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო მოჭადრაკეთა ასპარეზობა. ჭადრაკი სპარტაკიადის პროგრამაში პირველად არის შეტანილი. მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვის და ლენინგრადის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის სახელოვანი გროსმაისტერები, ოსტატები.

პირველი მატჩების შედეგები ასეთია: რსფსრ — საქართველო 2:1 (6 პარტია გადადებულია), ბელორუსია — აზერბაიჯანი 4:2 (3 პარტია გადადებულია), ტაჯიკეთი—მოლდავეთი 5½:3½, უზბეკეთი — ლენინგრადი 1:5 (3 პარტია გადადებულია), ლატვია-ესტონეთი 2½:1½ (ხუთი პარტია გადადებულია).

დღეს გაიმართა აგრეთვე გუნდური ასპარეზობები ჩოგბურთში და პირველი მატჩები ფრენბურთში.

ვ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲡᲘᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ

ᲐᲡᲘᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ძველი კულტურის, მდიდარი უძველესი ისტორიული წარსულის ხალხია.

ისტორიული მონაცემებით, დაახლოებით 130-140 წლის წინათ, რუსეთ-სპარსეთის ომის დამთავრების შემდეგ სპარსეთში მცხოვრები ასირიელების დიდი ჯგუფი თავიანთი ოჯახებით რუსეთის ჯარის ნაწილებს გამოჰყვა და რუსეთისა და ამერიკაკავკასიის ტერიტორიაზე დასახლდა.

ამჟამად საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში რამდენიმე ათასი ასირიელი ცხოვრობს. მათ შორის ბევრია ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი და სხვ.

ოთხ წელზე მეტია, რაც თბილისის რკინიგზელის სახლთან ჩამოყალიბდა ასირიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებულია 35 კაცი. იგი ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია ა. გრიგოლია, რეჟისორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ისფაგანელი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი და კონცერტმეისტერი ე. მუმლაძე. ეს ანსამბლი მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტების მე-6 მსოფლიო ფესტივალში მოსკოვში და წარმატება ხვდა.

ანსამბლის პროგრამა შედგენილია ორ განყოფილებად და შეიცავს მდიდარ რეპერტუარს — ასირიელ ეროვნულ სიმღერებსა და ცეკვებს, ლირიკულ სიმღერებს.

ამ დღეებში ასირიელთა ანსამბლმა რკინიგზელთა სახლის დიდ დარბაზში გამართა მორიგი კონცერტი. ასირიულ ეროვნულ სიმღერებსა და ცეკვებს გარდა, ანსამბლმა მაყურებელს უჩვენა ასირიული „ქორწილი-კონცერტი“, რომლის ავტორია მასწავლებელი დავით ილიანი. წამყვან როლებს ასრულებდნენ ი. თამრაზოვა, მ. ალავერდოვი, ვ. ბითარსანუსოვა, შ. ბენიამინოვი, ე. სარადოვი და სხვები.

ამჟამად ანსამბლი ემზადება ხაგასტროლოდ სომხეთში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

ვ. ᲖᲔᲠᲥᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: ანსამბლის სოლისტები (მარჯვნიდან) ვ. ბით-არსანუსოვა და ტ. გრიგოლია ასრულებენ ასირიულ სიმღერას „ოი ლე-ლე“.

ᲪᲮᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ

თბილისის რკინიგზელის სახლთან არსებული აღმოსავლური ხალხური საკრავების ანსამბლმა მ. სუკიასოვის ხელმძღვანელობით ამ დღეებში კონცერტი გამართა ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიას კლუბში. მათ შეასრულეს ცეკვები და სიმღერები. მათ შორის აღსანიშნავია: „სიმღერა ბაქოზე“ და „დაიგვიანეს“, ცეკვები „უზბეკური“ და „სომხური“. მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს.

Ა. ᲭᲘᲥᲝᲕᲘᲫᲔ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

მუშაობა განაახლა სამტრედიის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა ცეკვის ანსამბლმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ბიბილეიშვილი, ლოტბარი ბ. მიქაძე, ქორეოგრაფი გ. კეშელავა. ანსამბლმა გამართა პირველი კონცერტები, რომელთა პროგრამაში იყო როგორც თანამედროვე, ისე ძველი ხალხური სიმღერები და ცეკვები.

შ. ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება მასალები და სურათები, რომლებიც ასახავენ ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის, მგზნებარე რევოლუციონერის გიორგი დიმიტროვის საქართველოში ჩამოსვლის ამბავს.

გიორგი დიმიტროვი ბორჯომში დასასვენებლად ჩამოვიდა 1934 წლის აგვისტოში. მისი გმირული რევოლუციური წარსული კარგად იცოდნენ ბორჯომის რაიონის მშრომელებმა, ამიტომ სადგურის პერონზე შეიკრიბნენ მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, კომკავშირელები.

გ. დიმიტროვი შეკრებილთ გულთბილად მიესალმა და წარმატება უსურვა. იგი თითქმის ერთ თვეს ისვენებდა ლიკანის სანატორიუმში. სადამოობით ხშირად სეირნობდა ორჯონიკიძის ხახელობის პარკში თავისი დედით და დით, ხვდებოდა დამსვენებლებს და ესაუბრებოდა მათ, ხშირად ესწრებოდა კონცერტებს და სპექტაკლებს.

გიორგი დიმიტროვი მოკლე ხნის მანძილზე საკმაოდ გაეცნო ბორჯომის რაიონის მოსახლეობას. მას შეხვედრა მოუწყეს ბორჯომის სხვადასხვა სანატორიუმის დამსვენებლებმა, კულტურის სახლმა, შუშის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, წაღვერის, ბაკურიანის, ხაკირის, ჭობისხევის და სხვ. მშრომელებმა. როგორც დიმიტროვი, ისე მისი დედა მშრომელებს მოუთხრობდნენ თავიანთ რევოლუციურ მუშაობაზე.

Გ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ 1959 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲐ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ, 5 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ქენევის თათბირის მონაწილეებმა მიიღეს შემდეგი კომუნიკე:

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მიმდინარეობდა ქენევაში, 1959 წლის 11 მაისიდან 20 ივნისამდე და 13 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

თათბირმა განიხილა საკითხები გერმანიის შესახებ, მათ შორის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი და ბერლინის საკითხი.

თათბირის მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები ამ საკითხებზე.

გულახდილად და ყოველმხრივ განხილულ იქნა ბერლინის საკითხი.

ორივე მხარის პოზიციები რიგ საკითხებში ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

მომხდარი დისკუსიები სასარგებლო იქნება შემდგომი მოლაპარაკებისათვის, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მივაღწიოთ შეთანხმებას.

ამას გარდა, თათბირმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო აზრთა სასარგებლო გაზიარება ურთიერთ საინტერესო სხვა საკითხებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა დათქვეს თათბირის შედეგები მოახსენონ თავიანთ შესაბამის მთავრობებს.

თათბირის მუშაობის განახლების თარიღისა და ადგილის საკითხი მოწესრიგდება დიპლომატიური არხების მეშვეობით.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ, 5 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების ქენევის თათბირმა დაამთავრა თავისი მუშაობის მეორე სტადია. ნაშუადღევს გაიმართა პლენარული სხდომა ს. ლოდის თავმჯდომარეობით. სხდომაზე თათბირის მონაწილეებმა — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კ. ჰერტერმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კიუ-დი მიურვილმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვ. გრეგემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ლლოიდმა გააკეთეს განცხადებანი, რომლებშიც თვითეულმა შეაფასა თათბირის მიერ გაწეული მუშაობა.

ამის შემდეგ თათბირმა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების ქენევის თათბირის კომუნიკის ტექსტი.

ᲡᲡᲡᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

შეერთებული შტატების, საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს ჰქონდათ აზრთა სასარგებლო გაზიარება იმ მეთოდის საკითხზე, რომელიც უზრუნველყოფდა რეალური პროგრამის მიღწევას განიარაღების შესახებ ახალი მოლაპარაკების დროს. როგორც კი დამთავრდება შესაბამისი კონსულტაციები, გამოქვეყნდება ამ განხილვის შედეგები.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲥᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით ქენევიდან „ილ-18“ თვითმფრინავით გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საბჭოთა დელეგაციის წევრები, რომლნიც მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების ქენევის თათბირში.

ქენევის აეროდრომზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონთან:

„საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა, რომელიც ქენევაში მიმდინარეობდა, დიდი და სასარგებლო მუშაობა შეასრულა.

იმ საკითხების საფუძვლიანმა განხილვამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ყველა ხალხისათვის, მშვიდობის საქმისათვის, ის გამოიწვია, რომ მხარეთა პოზიციებში მოხდა გარკვეული დაახლოება და მთელ რიგ საკითხებში შეთანხმების შესაძლებლობა დაისახა.

ამასთანავე ზოგიერთ საკითხებზე თათბირის მოხაწილეთა შორის ჯერ კიდევ არსებითი უთანხმოებაა. ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შემდგომი ღონისძიებანი ურთიერთმიღებულ გადაწყვეტილებათა მისაღწევად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქმე სწორედ ამ მიმართულებით წავა და რომ შემდგომი მოლაპარაკება, რომლის შესახებაც ქენევის თათბირის მონაწილეთა სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდნენ, ნაყოფიერი იქნება.

მოკლეთა განვითარება საერთაშორისო ასპარეზზე და, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ღირსშესანიშნავი ფაქტი, როგორიც არის შეთანხმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შეერთებულ შტატებში გგზავრებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ, იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ჰაჯი შესამჩნევად დათბა და უმჯობესდება.

საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, ყოველ ღონეს იხმარს, რათა გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების ამოცანა, მოწესრიგებისა, რომელიც გადაუდებელი ხდება და დასავლეთ ბერლინის საკითხი, რომელებიც განხილულ იქნა ქენევის თათბირზე, გადაწყდეს საერთაშორისო დაძაბულობის შეცილებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ვინც ამას არ შეუწყობს ხელს, დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს შედეგებისათვის.

ვტოვებ რა ქენევას, მინდა საბჭოთა დელეგაციის სახელით მადლობა გადავუხადო შვეიცარიის ხელისუფლების ფედერალური ორგანოებისა და კანტონის ორგანოების წარმომადგენლებს მოლაპარაკების მონაწილეთათვის ზრუნვის გამო, მადლობა გადავუხადო ქენევის მცხოვრებთ თათბირისადმი ყურადღებისათვის.

ნახვამდის“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲥᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲡᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ

ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 4 აგვისტო. (საკდესი). ცდილობს რა ჩაახშოს მზარდი სახალხო მოძრაობა მანილის გლეზოსისა და სხვა პატრიოტების თავისუფლებისათვის, საბერძნეთში დემოკრატიის დაცვისათვის, საბერძნეთის რეაქციამ უკანასკნელ დღეებში კვლავ ლახვარი ჩასცა საბერძნეთის დემოკრატიულ თავისუფლებებს. გლეზოსისა და სხვა დემოკრატების გასამართლების შემდეგ, საბერძნეთში დაიწყო იმ დემოკრატების გასამართლება, რომლებსაც ბრალად ედებათ პოლიტიკური შეზღუდვათა „დარღვევა“, რომლებიც დაწესებულია მათთვის, ნამდვილად კი მათი დემოკრატიული მოღვაწეობისათვის, ამასთან ეს დემოკრატები გაუთანაბრეს... სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

უკანასკნელ წლებში საზოგადოებრიობის მოძრაობის ზეგავლენით საბერძნეთის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ხება დაერთოთ პოლიტიკური გადასახლებულთა ნაწილისათვის დაბრუნებულიყო საკონცენტრაციო ბანაკებიდან საცხოვრებელ ადგილებში და მათთვის დაწესებულიყო სასტიკი პოლიტიკური შეზღუდვა და პოლიციის კონტროლი, ხელისუფალთ აგრეთვე შენარჩუნებული ჰქონდათ უფლება ყოველ დროს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად კვლავ გაეგზავნათ ისინი საკონცენტრაციო ბანაკში.

1 იგლისს იმ პოლიტიკური გადასახლებულებისათვის, რომლებიც დროებით იყვნენ თავისუფალნი, და ყველასათვის, ვინც როდისმე გადასახლებული იყო, შემოღებულ იქნა ეგრეთწოდებული „დისციპლინებული ცხოვრების“ რეჟიმი საცხოვრებელ ადგილზე. ახალი რეჟიმი მათგან მოითხოვს გამოცხადდნენ პოლიციის უბნებში და მოახსენონ თავიანთ თავზე, ართმევს მათ ელემენტარულ უფლებებს, როგორიცაა: მუშაობის უფლება, კრების უფლება, მიმოსვლის, საკუთარი აზრების გამოთქმის თავისუფლება, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას და სხვ.

გარდა ამისა, ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ყველა ყოფილ პოლიტიკურ გადასახლებულს ჩათვლიან „გადასახლებულებად საცხოვრებელ ადგილებში აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით“.

დემოკრატიულმა პრესამ ხელისუფალთა ეს ღონისძიება მიიჩნია, როგორც ცდა მთელი საბერძნეთი გადაქცეიონ უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად. მთელმა ოპოზიციურმა პრესამ, მათ შორის ისეთმა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა, როგორიც არის „ელეფთერია“, „ატენიაკი“, მტკიცედ დაგმეს ხელისუფალთა ახალი ღონისძიება, როგორც ცდა დააშინონ მთავრობის ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

სახალხო სოციალური პარტიის ლიდერმა სტეფანოპულოსმა და ლიბერალეებისა და პროგრესისტების პარტიის ხელმძღვანელებმა გადაჭრით გაილაშქრეს მთავრობის ახალი ღონისძიებების წინააღმდეგ.

ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 5 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის პრესის საადგილოს ცნობით, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი და მისი თანმხლები პირები პოლონეთში ოთხ დღეს ყოფნის შემდეგ ვარშავიდან ვამინგტონს გაფრინდნენ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. ყოველთვიურად იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დასავლეთ გერმანიიდან საცხოვრებლად გადმოდიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოსულთა რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი მესამედით გაიზარდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მეავეჯე გოუნტერ ბერნერი ცოლშვილიანად ეიზენაზში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან გადმოსახლებულთა მიმღებ პუნქტზე.

ფოტო ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲑᲘᲚᲓᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 5 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის გამოფენა ნიუ-იორკში ინახულა ამერიკის განათლება მუშაკთა დიდმა ჯგუფმა. რომელშიც შედის დაახლოებით 200 ბედადგოგი, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და პროფესორები, რომლებიც ჩამოვიდნენ შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქიდან და შტატიდან. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ბანაკებსა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს განყოფილებას, რომელიც აშოკეები განათლების დაყენებას საბჭოთა კავშირში. გამოფენის დათვალიერების შემდეგ ისინი შეხვდნენ მწერალ ვ. კატაევს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვ. ვ. ბელოუსოვს, მხატვარ ი. რომასს და სხვებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან. ამ საუბარში, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებმა უპასუხეს მრავალ კითხვაზე საბჭოთა მეცნიერების მიღწევების, საბჭოთა ახალგაზრდობის სწავლების, საბჭოთა სასწავლებლების და სხვ. შესახებ. სტუმრებმა გულთბილი მადლობა გადუხადეს გამოფენის ადმინისტრაციას სტუმართმოყვარეობისა და კარგი მიღებისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ საბჭოთა და ამერიკელი ხალხების კონტაქტი მომავალში მნიშვნელოვნად გაფართოვდება, რაც მათი სიტყვით, ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების გაუმჯობესებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

რედაქტორი
Დ. ᲛᲐᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 70-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1959 წლის 30 ივლისს ლენინგრადში.
მოგება ზვდა სესხის ცამეტიანი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000647	43*)	10.000	020916	1—50	400	041342	27*)	10.000	060225	28*)	10.000	079888	07*)	5.000
000808	17*)	5.000	021882	34*)	5.000	041560	1—50	1.000	060628	20*)	5.000	080586	1—50	1.000
001291	1—50	400	022018	1—50	400	041694	27*)	5.000	060870	50*)	5.000	081734	09*)	5.000
001755	50*)	5.000	022233	03*)	5.000	042480	1—50	400	061141	1—50	400	082219	21*)	5.000
002101	32*)	10.000	025790	17*)	5.000	043132	35*)	10.000	061377	21*)	25.000	084175	14*)	5.000
003997	41*)	5.000	025911	29*)	5.000	043335	1—50	400	061602	16*)	5.000	084225	1—50	400
004535	1—50	400	025976	1—50	1.000	043529	01*)	10.000	061726	28*)	5.000	085674	32*)	5.000
005047	26*)	5.000	026215	36*)	5.000	043996	19*)	25.000	062253	29*)	10.000	086390	14*)	5.000
007642	49*)	5.000	026270	28*)	5.000	044046	19*)	5.000	062334	13*)	5.000	086690	1—50	400
007926	1—50	400	027368	01*)	5.000	044272	08*)	5.000	062355	1—50	1.000	087275	1—50	400
008360	1—50	400	027382	1—50	1.000	044523	33*)	5.000	062443	07*)	5.000	087473	1—50	400
009231	01*)	5.000	027402	1—50	400	044787	11*)	5.000	062482	11*)	5.000	087664	39*)	5.000
010397	1—50	1.000	029894	16*)	10.000	046044	25*)	10.000	063013	49*)	5.000	087692	1—50	1.000
010679	1—50	400	030126	1—50	400	046170	48*)	10.000	063062	14*)	5.000	087849	12*)	10.000
011640	48*)	5.000	032505	1—50	400	046200	35*)	5.000	063872	1—50	400	089432	29*)	5.000
012595	1—50	400	032794	17*)	5.000	047401	1—50	1.000	064474	1—50	400	089499	33*)	10.000
012927	12*)	5.000	033666	20*)	5.000	047787	50*)	5.000	064687	49*)	25.000	089897	36*)	5.000
013544	22*)	5.000	033734	32*)	10.000	049621	16*)	5.000	067726	20*)	10.000